

შპს ბლექ სი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ბლექ სი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. ძირითადი საშუალებები	20
5. საინვესტიციო ქონება (თვითღირებულებით)	21
6. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	22
7. საგადასახადო აქტივი	22
8. მარაგები	22
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
10. ფული და ფულის ექვივალენტები	22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
12. ამონაგები	23
13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	23
14. საიჯარო შემოსავალი	23
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
16. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	24
17. საპროცენტო შემოსავალი	24
18. საპროცენტო ხარჯი	25
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები	25
20. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	25
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბლექ სი-ს მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ბლექ სი-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ საინვესტიციო ქონება აღრიცხა რეალური ღირებულებით მოწვეული დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშის შედეგების საფუძველზე.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შესაბამისად 757,872 და 786,771 ლარით.

ჩვენ შევაფასეთ დამოუკიდებელი შემფასებლის კომპეტენცია, უნარიანობა და ობიექტურობა, გავერკვიეთ მის მიერ შესრულებულ სამუშაოში და შევაფასეთ, შესაფერისია თუ არა ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაო იმისათვის რომ გამოვიყენოთ როგორც აუდიტორული მტკიცებულება სათანადო მტკიცებასთან მიმართებით.

ჩვენ ვერ დავრწმუნდით საინვესტიციო ქონების ღირებულების შეფასების მიზნით, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გამოტანილი დასკვნების, მის სამუშაოში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი დაშვებების, შეფასების მეთოდების შესაბამისობასა და გონივრულობაში, ასევე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გამოყენებული პირველადი მონაცემების საკმარისობაში, შესრულებული კალკულაციების სიზუსტეში, დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. შედეგად ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შესაბამისი საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულების სისწორესთან მიმართებით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებების განხორციელება წარდგენილ საინვესტიციო ქონების ღირებულებასთან მიმართებაში, ასევე

ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს ბლექ სი-ს შესადარისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია წინამორბედი აუდიტორის მიერ, რომელმაც 2021 წლის 17 აგვისტოს გამოთქვა პირობითი მოსაზრება. პირობითი მოსაზრების საფუძველი დაკავშირებულია მარაგების არსებობასთან და საინვესტიციო ქონების შეფასებულ ღირებულებასთან მიმართებით აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით

უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

27 სექტემბერი, 2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,511	4,718
საინვესტიციო ქონება (თვითღირებულებით)	5	757,872	786,771
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	6	345,000	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,106,383	791,489
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი	7	6,671	46,276
მარაგები	8	166,974	423,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	521,963	439,679
სასესხო მოთხოვნები		-	157,183
ფული და ფულის ექვივალენტები	10	20,103	43,676
სულ მიმდინარე აქტივები		715,711	1,110,362
სულ აქტივები		1,822,094	1,901,851
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		258,000	450
აკუმულირებული მოგება		780,018	1,010,909
სულ კაპიტალი		1,038,018	1,011,359
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	784,076	890,492
სულ ვალდებულებები		784,076	890,492
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,822,094	1,901,851

გიორგი ქათამაძე

დირექტორი

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	12	21,778,654	16,683,871
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(21,216,184)	(16,092,824)
საერთო მოგება		562,470	591,047
საიჯარო შემოსავალი	14	123,505	120,425
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(457,920)	(116,204)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	16	(380,491)	(208,893)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(152,436)	386,375
საპროცენტო შემოსავალი	17	-	28,914
საპროცენტო ხარჯები	18	(21,600)	(19,897)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		121	3,291
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(376)	(520)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(174,291)	398,163
მოგების გადასახადი		(8,499)	(8,259)
წმინდა მოგება (ზარალი)		(182,790)	389,904
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(182,790)	389,904

გიორგი ქათამაძე

დირექტორი

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019	9,790	952,583	962,373
კაპიტალის შემცირება	(9,340)	-	(9,340)
წლის წმინდა მოგება	-	389,904	389,904
დივიდენდის გაცემა	-	(331,578)	(331,578)
ნაშთი 31 დეკემბერი, 2020	450	1,010,909	1,011,359
კაპიტალის ზრდა	257,550	-	257,550
წლის წმინდა მოგება	-	(182,790)	(182,790)
დივიდენდის გაცემა	-	(48,101)	(48,101)
ნაშთი 31 დეკემბერი, 2021	258,000	780,018	1,038,018

გიორგი ქათამაძე
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება (ზარალი)	(182,790)	389,904
არაფულადი კორექტირებები:		
ცვთა და ამორტიზაცია	30,106	30,085
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი	-	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-	1,114
საპროცენტო შემოსავალი	-	(28,914)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	(3,291)
საპროცენტო ხარჯი	21,600	19,897
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(131,084)	408,795
ცვლილებები მარაგებში	256,574	(244,705)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(82,284)	(305,528)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(106,416)	563,559
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	39,605	(19,538)
მიღებული პროცენტი	-	23,813
გადახდილი პროცენტი	(21,600)	(19,897)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(45,205)	406,499
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(48,101)	(331,578)
კაპიტალის ზრდა/(კლება)	257,550	(9,340)
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	209,449	(340,918)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(889)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(345,000)	-
სესხის გაცემა	-	(54,000)
სესხის ძირის დაბრუნება	157,183	13,000
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(187,817)	(41,889)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(23,573)	23,692
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	43,676	19,984
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	20,103	43,676

გიორგი ქათამაძე

დირექტორი

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,511	4,718
საინვესტიციო ქონება (თვითღირებულებით)	5	757,872	786,771
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	6	345,000	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,106,383	791,489
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი	7	6,671	46,276
მარაგები	8	166,974	423,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	521,963	439,679
სასესხო მოთხოვნები		-	157,183
ფული და ფულის ექვივალენტები	10	20,103	43,676
სულ მიმდინარე აქტივები		715,711	1,110,362
სულ აქტივები		1,822,094	1,901,851
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		258,000	450
აკუმულირებული მოგება		780,018	1,010,909
სულ კაპიტალი		1,038,018	1,011,359
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	784,076	890,492
სულ ვალდებულებები		784,076	890,492
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,822,094	1,901,851

გიორგი ქათამაძე
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	12	21,778,654	16,683,871
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(21,216,184)	(16,092,824)
საერთო მოგება		562,470	591,047
საიჯარო შემოსავალი	14	123,505	120,425
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(457,920)	(116,204)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	16	(380,491)	(208,893)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(152,436)	386,375
საპროცენტო შემოსავალი	17	-	28,914
საპროცენტო ხარჯები	18	(21,600)	(19,897)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		121	3,291
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(376)	(520)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(174,291)	398,163
მოგების გადასახადი		(8,499)	(8,259)
წმინდა მოგება (ზარალი)		(182,790)	389,904
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(182,790)	389,904

გიორგი ქათამაძე
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი


შპს ბლექ სი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი, 2019	9,790	952,583	962,373
კაპიტალის შემცირება	(9,340)	-	(9,340)
წლის წმინდა მოგება	-	389,904	389,904
დივიდენდის გაცემა	-	(331,578)	(331,578)
ნაშთი 31 დეკემბერი, 2020	450	1,010,909	1,011,359
კაპიტალის ზრდა	257,550	-	257,550
წლის წმინდა მოგება	-	(182,790)	(182,790)
დივიდენდის გაცემა	-	(48,101)	(48,101)
ნაშთი 31 დეკემბერი, 2021	258,000	780,018	1,038,018


გიორგი ქათამაშვილი
დირექტორი


თამარ ქოშულაშვილი
ფინანსური მენეჯერი

შპს ბლექ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წლის მოგება (ზარალი)	(182,790)	389,904
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	30,106	30,085
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებული შემოსავალი	-	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-	1,114
საპროცენტო შემოსავალი	-	(28,914)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	(3,291)
საპროცენტო ხარჯი	21,600	19,897
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(131,084)	408,795
ცვლილებები მარაგებში	256,574	(244,705)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(82,284)	(305,528)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(106,416)	563,559
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	39,605	(19,538)
მიღებული პროცენტი	-	23,813
გადახდილი პროცენტი	(21,600)	(19,897)
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(45,205)	406,499
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(48,101)	(331,578)
კაპიტალის ზრდა/(კლება)	257,550	(9,340)
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	209,449	(340,918)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(889)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(345,000)	-
სესხის გაცემა	-	(54,000)
სესხის ძირის დაბრუნება	157,183	13,000
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(187,817)	(41,889)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა(შემცირება)	(23,573)	23,692
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	43,676	19,984
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	20,103	43,676

გიორგი ქათამაძე

დირექტორი

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მეწეუმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

27 სექტემბერი, 2022 წელი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბლექ სი“ დაფუძნდა 2011 წლის 13 აპრილს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 445396296.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ფერდ., III მ/რ, I კვ., კორპ. 16, ბინა 4.

შპს ბლექ სი-ს დამფუძნებელია:

გიორგი ქათამაძე (პ.ნ.: 60001009375), წილი – 100%.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

გიორგი ქათამაძე (პ.ნ.: 60001009375).

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს პროდუქტებით. ასევე მისი საქმიანობაა უძრავი ქონების გაქირავება.

საქმიანობის ტიპი: სადისტრიბუციო ქსელი

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი

წლიური ამორტიზაციის ნორმა

შენობა-ნაგებობები

20 წელი

კომპიუტერული ტექნიკა

5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით,

კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები.

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეფასებულია რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონებას კომპანია აღრიცხავს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, კომპანია ამ აქტივს აღრიცხავს ძირითადი საშუალებების პოლიტიკის შესაბამისად მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი. საბალანსო ღირებულება, რომელიც საინვესტიციო ქონებას ექნება ზემოაღნიშნული ბოლო თარიღისთვის, გახდება მისი თვითღირებულება. ეს ცვლილება გარემოებების ცვლილებაა და არა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს. საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	5,148	5,148
შემოსვლა	890	890
გასვლა	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	6,038	6,038
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	6,038	6,038
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(133)	(133)
ცვეთა	(1,187)	(1,187)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(1,320)	(1,320)
ცვეთა	(1 207)	(1 207)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	(2,527)	(2,527)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	5,015	5,015
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	4,718	4,718
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	3,511	3,511

5. საინვესტიციო ქონება (თვითღირებულებით)

	მიწა	შენობები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31.12.2019	-	-	-
გადმოტანა რეალური ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებიდან	237,690	577,980	815,670
ნაშთი 31.12.2020	237,690	577,980	815,670
ცვლილება			
ნაშთი 31.12.2021	237,690	577,980	815,670
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31.12.2019	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	(28,899)	(28,899)
ნაშთი 31.12.2020	-	(28,899)	(28,899)
პერიოდის ცვეთა	-	(28,899)	(28,899)
ნაშთი 31.12.2021	-	(57,798)	(57,798)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2019	-	-	-
ნაშთი 31.12.2020	237,690	549,081	786,771
ნაშთი 31.12.2021	237,690	520,182	757,872

შენიშვნა: 31.12.2019-ში კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეფასებულია საბაზრო ღირებულებით პროფესიონალი შემფასებლის მიერ. აღნიშნული ღირებულება დასმულია როგორც ქონების საინვესტიციო ნაწილის საწყისი ღირებულება. ამ თარიღის შემდეგ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება აღარ მომხდარა, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნულთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იქნებოდა კომპანიისთვის, გამომდინარე იქედან, რომ გაიჯარება არ წარმოადგენს კომპანიისთვის ძირითად საქმიანობას. ამიტომ მიმდინარე პერიოდებში საინვესტიციო ქონების აღრიცხვა წარმოებს საწყის ღირებულებაზე (რაც ზემოთ აღნიშნულ თარიღში შემფასებლის მიერ შეფასებულ ღირებულებას წარმოადგენს) ცვეთის დარიცხვით. შენობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადად შეფასებულია 20 წელი.

6. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს შპს გიგი (ს.ნ.: 405285338), რომლის 20% წილის მფლობელი შპს ბლექ სი გახდა 2021 წლის 21 იანვარს. აღნიშნული წილის შესყიდვა განხორციელდა შპს გიგის მიმართ არსებული 150,000 ლარი სასესო მოთხოვნის სანაცვლოდ. ამის შემდეგ 2021 წლის ბოლომდე შპს ბლექ სი-ს შპს გიგი-ს კაპიტალში განხორციელებული აქვს ასევე ფულადი შენატანები ჯამურად 195,000 ლარის ოდენობით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით. ინვესტიციის თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 345,000 ლარს.

შპს გიგის 40% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს ასევე შპს ბლექ სის 100% დამფუძნებელი გიორგი ქათამაძე, 60001009375.

7. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

8. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
სიგარეტი	147,842	317,366
თამბაქო	13,412	95,130
სიგარეტის ტუბი	4,151	10,160
სხვა მარაგი	1,245	745
საწვავი	324	147
	166,974	423,548

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	497,282	413,549
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	11,395	25,036
გადახდილი ავანსები	13,285	1,094
	521,962	439,679

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	9
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	20,103	43,667
	20,104	43,676

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	758,811	882,468
მიღებული ავანსები	904	158
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24,361	7,866
	784,076	890,492

12. ამონაგები

	2021	2020
შემოსავალი თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციიდან	21,778,654	16,683,871
სულ	21,778,654	16,683,871

13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
თამბაქოს ნაწარმის თვითღირებულება	21,216,380	16,100,343
შემძენილი საქონლის უკან დაბრუნება	(196)	(7,519)
	21,216,184	16,092,824

14. საიჯარო შემოსავალი

იჯარის ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით, ავტომატური გაგრძელების პირობით. მოიჯარე არის დაკავშირებული მხარე - შპს ბაგრატი. გაიჯარებულია ფლობილი უძრავი ქონება სრულად.

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	63,370	62,140
ცვეთა და ამორტიზაცია	30,107	30,085
კომუნალური ხარჯი	16,434	11,159
სხვა საგადასახადო ხარჯები	5,528	5,825
საპენსიო ფონდის ხარჯი	1,173	979
კომუნიკაციის ხარჯები	966	2,331
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	1,114
საბანკო ხარჯები	562	762
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯი	12,929	-
სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	-	500
მიმდინარე რემონტის ხარჯი	325,255	-
სხვა საერთო ხარჯები	1,596	1,309
	457,919	116,204

შპს ბლექ სი ფლობს შენობას, რომელიც წყლის მიერ კედლების დაზიანებისა და დანესტიანების გამო საჭიროებდა რემონტს. აქტივის არსებითი გაუმჯობესება არ მომხდარა და რემონტი მიმართული იყო პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებისკენ, შესაბამისად არ მომხდარა რემონტის ხარჯის დაკაპიტალიზება და ის წარმოდგენილია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

16. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

	2021	2020
საწვავის ხარჯები	49,913	29,184
მიწოდების სახელფასო ხარჯი	280,118	147,397
საიჯარო ქირა	15,805	16,311
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	21,423	16,001
მარკეტინგული მომსახურება	13,232	-
	380,491	208,893

17. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2020 წელს მიღებულია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიის მიმართ გაცემული სესხიდან. აღნიშნული საწარმო 2021 წელს შპს ბლექ სის მეკავშირე საწარმო გახდა. იხ. შენიშვნა 6.

18. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გარანტიის ხარჯს, რომელიც გაფორმებულია ბანკის მიერ მომწოდებელთან.

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	21,600	19,897
	21,600	19,897

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2022 წელს მეკავშირე საწარმოში (შენიშვნა 6) მოხდა 30,000 ლარის ინვესტირება.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დამფუძნებელზე გაცემულია დივიდენდი სულ 26,316 ლარის ოდენობით.

საწესდებო კაპიტალი შემცირდა 34,000 ლარით.

20. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	700	-	700

სრული შემოსავლების ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
საიჯარო შემოსავალი	120,000	-	120,000
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	45,000	45,000
გაცემული სესხის მიღება	157,183	-	-
საიჯარო ხარჯი	8,400	-	-

მეკავშირე საწარმოსთან განხორციელებულ ოპერაციებზე და ინვესტიციის ნაშთზე ინფორმაცია იხილეთ შენიშვნაში 6.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,000	10,000
გაცემული სესხები	157,183	157,183
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	700	700

სრული შემოსავლების ანგარიშგება	სხვა დაკავშ. მხარე	სულ
საიჯარო შემოსავალი	120,447	120,447
საიჯარო ხარჯი	8,400	8,400
სესხის გაცემა	54,000	54,000
გაცემული სესხის მიღება	36,812	36,812
ფინანსური შემოსავალი	28,914	28,914

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ბლექ სი-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 27 სექტემბერს.